ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲙᲔᲑᲝ! ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲗ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲔᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

№ 207
(5757)

19

1976 წ.
ოქტომბერი,
სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ
1934 ᲬᲚᲘᲡ
13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

„ᲡᲝᲘᲣᲖ-23" ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

1976 წლის 16 ოქტომბერს „სოიუზ-23" ხომალდზე სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კოსმონავტები — ამხანაგები ვიაჩესლავ დმიტრის ძე ზუდოვი და ვალერი ილიას ძე როჟდესტვენსკი დედამიწაზე დაბრუნდნენ. 20 საათსა და 46 წუთზე მოსკოვის დროით, „სოიუზ-23" კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი დაეშვა 195 კილომეტრზე ქალაქ ცელინოგრადის სამხრეთ-დასავლეთით.

ამხანაგები ზუდოვი და როჟდესტვენსკი თავს კარგად გრძნობენ.

ოსტატი ლიდია მულენკო („სტროიტელი", ზაპოროჟიე, 1939 წ.) უკრაინის მრავალგზის ჩემპიონია. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალში მეოთხედ თამაშობს. გაიმარჯვა რუმინეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირში. მუშაობს სპორტსაზოგადოება „სტროიტელის" ინსტრუქტორად. მწვრთნელად ჰყავს ი. მულენკო.

ჩიბურდანიძე

საერთაშორისო ოსტატი მაია ჩიბურდანიძე („დინამო", თბილისი, 1961 წ.) თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეა. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალში მეოთხედ მონაწილეობს. წარმატებას მიაღწია საქართველოს და რუმინეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირებში. არის სსრ კავშირის 1976 წლის ჩემპიონი გოგონათა შორის. მისი მწვრთნელია დიდოსტატი ე. გუფელდი.

ოსტატობის კანდიდატი ნინო გურიელი (არმიის სპორტული კლუბი, თბილისი, 1961 წ.) მეორედ მონაწილეობს სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალში. წარმატებით ითამაშა საქართველოს ქალთა VIII საერთაშორისო ტურნირში და ჩეხოსლოვაკიაში. საქართველოს ქალთა წლევანდელ პირველობაში I-II ადგილები გაიყო. სწავლობს თბილისის 54-ე საშუალო სკოლის X კლასში. მისი მწვრთნელია ოსტატი დ. ჯანოევი.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲖᲐᲘᲪᲔᲕᲐ
ᲛᲐᲘᲜᲪ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ

X ტური. ტ. ფომინა (ტალინი) — ტ. ჟივაევა (ალმა-ათა) 1:0, ლ. სემიონოვა (კიევი) — ც. კახაბრიშვილი 1:0, ნ. გაფრინდაშვილი — ი. ლევიტინა (ლენინგრადი) 0,5:0,5, ა. ახშარუმოვა (მოსკოვი) — ნ. იოსელიანი 1:0, ნ. ალექსანდრია — ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) 1:0. პარტიები ა. კისლოვა (ლენინგრადის ოლქი) — ლ. მულენკო (ზაპოროჟიე), ე. ეპშტეინი (გორკი) — ტ. ზატულოვსკაია, ლ. ბელავენეცი — ლ. ზაიცევა (სამივე — მოსკოვი), ნ. გურიელი — მ. ჩიბურდანიძე გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრება. საუნინა — სემიონოვა 1:0, ზაიცევა — ეპშტეინი 0,5:0,5, კახაბრიშვილი — მულენკო 0,5:0,5, გაფრინდაშვილი — საუნინა 0,5:0,5, ჩიბურდანიძე — ახშარუმოვა 0:1, ზაიცევა — გაფრინდაშვილი 0,5:0,5, ლევიტინა — სემიონოვა 1:0, ზატულოვსკაია — ფომინა 0:1, ჟივაევა — მულენკო 1:0, კისლოვა — მულენკო, ბელავენეცი — ზაიცევა 0:1, გურიელი — ჩიბურდანიძე 0:1, ეპშტეინი — ზატულოვსკაია 0,5:0,5.

ურ დაცვაში ფიგურა რომ შესწირა, ლევიტინამ მიიღო შეწირვა და თამაში თითქმის ფორსირებულად წარიმართა. ლენინგრადელი ოსტატი გონებამახვილურად და აქტიურად თამაშობდა. შეხვედრა მუდმივი ქიშით დამთავრდა.

მე-20 სვლისთვის სემიონოვამ შეძლო კახაბრიშვილის მეფის ფრთის დალაშქვრა, რასაც კუსა და ეტლის შეწირვა მოჰყვა. შავმა მეფემ გაქცევითაც ვერ უშველა თავს.

ალექსანდრიამ მეთოდური თამაშით აჯობა საუნინას. ახშარუმოვა როგორღაც შეუმჩნევლად დაეუფლა ინიციატივას და, რა თქმა უნდა, შეუტია მეფის ფრთას. იოსელიანმა ვერააწყო დაცვა და მალე წააგო.

X ტურში ფომინამ პირველად გაიმარჯვა: ჟივაევამ უზუსტოდ გაითამაშა იტალიური პარტია. გადადებული პარტიების დამთავრებისას ფომინამ მეორე ქულა მიიღო ზატულოვსკაიასგან, რომელთანაც ზედმეტი პაიკი ჰქონდა.

წარუმატებლად გამოვიდა სემიონოვა. იგი ჯერ თამაშის განუახლებლად დანებდა ლევიტინას პაიკთა უიმედო ენდშპილში, მერე კი საუნინასთან წააგო ეტლების ენდშპილში, რომელშიც თავად ზედმეტი პაიკი ჰქონდა. თამაშის პროცესში მან ორი პაიკი დაკარგა და ყაიმის შანსიც ვერ გამოიყენა. ამის გამო სამართლიანად უსაყვედურა უკრაინის სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა, ოსტატმა ი. სახაროვმა, რომელიც მას თან ახლავს. როგორც ჩანს, „სკოლაში", რომელსაც კარგად დაეუფლნენ, მაგალითად, ქართველი მოჭადრაკეები, იგი მოიკოჭლებს.

ახშარუმოვამ ანალიზის დროს მონახა გამარჯვების გეგმა: კუსთვის დიდი დიაგონალის გახსნა. ჩიბურდანიძის ორი ეტლი ადგილს ტკეპნიდა ვერტიკალების გაღების ცდაში. როცა ახშარუმოვამ თავისი გეგმა განახორციელა, მისი პაიკები წინ გაიჭრნენ და ერთი გასვლელი გახდა. ჩიბურდანიძემ მოსკო-

კოლეგიას და გაფრინდაშვილთან პარტიაში ყაიმის ფიქსირება მოითხოვა პოზიციის სამჯერ გამეორების გამო. მსაჯებმა სწრაფად შეამოწმეს განცხადების სისწორე და პარტია ყაიმით დამთავრებულად ჩათვალეს. ამ ძვირფასმა ყაიმმა და ბელავენეცთან. მოგებამ ზაიცევას ლიდერის პოზიციები შეუნარჩუნა, თუმცა მას ახშარუმოვა დაეწია.

კ. ზვორიკინა,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო ოსტატი და არბიტრი.

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18		
1	ნ. გაფრინდაშვილი	■	0	1	1	0	1	½	½	½	½								1	6	
2	ლ. ბელავენეცი	1	■	0	½	½	0	½	0	0								0	0	2½	
3	ნ. ალექსანდრია	0	1	■	1	0	1	0	1								1	0	1	6	
4	ა. ახშარუმოვა	0	½	0	■	1	1	1								1	1	1	1	7½	
5	ნ. გურიელი	1	½	1	0	■	0								1	1	0	0	1	5½	
6	მ. ჩიბურდანიძე	0	1	0	0	1	■							1	0	1	0	½		4½	
7	ნ. იოსელიანი	½	½	1	0			■					½	0	1	1	0	0		4½	
8	ლ. საუნინა	½	1	0					■			½	0	1	1	½	0	1		5½	
9	ლ. ზაიცევა	½	1							■	½	1	1	1	1	1	½	0		7½	
10	ი. ლევიტინა	½								½	■	1	1	0	0	1	½	1	½	6	
11	ც. კახაბრიშვილი								½	0	0	■	½	1	½	½	0	0	1	4	
12	ტ. ზატულოვსკაია							½	1	0	0	½	■	1	½	0	½		1	5	
13	ტ. ჟივაევა						0	1	0	0	1	0	0	■	1	0			0	3	
14	ლ. მულენკო					0	1	0	0	0	1	½	½	0	■				½	3½	
15	ტ. ფომინა				0	0	0	0	½	0	0	½	1	1		■				3	
16	ე. ეპშტეინი			0	0	1	1	1	1	½	½	1	½				■			6½	
17	ლ. სემიონოვა		1	1	0	1	½	1	0	1	0	1						■		6½	

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ-76

● ბუდაპეშტი, 17 ოქტომბერი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ ჯგუფში გაიმარჯვა მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდმა. დედაქალაქის სტუდენტებმა ბოლო მატჩში სძლიეს უნგრეთის „უიპეშტ დოჟას" ანგარიშით 5:3 და I ადგილი დაიკავეს. ნახევარფინალის საგზური მიიღო, აგრეთვე, პოლონეთის „დეროზენმა", რომელიც მეორე იყო.

● ოსლო, 17 ოქტომბერი. მიმდინარე წლის მსოფლიოს პირველი ჩოგნის სახელისთვის ბრძოლაში რუმინელმა ჩოგბურთელმა ი. ნასტასემ კვლავ დაამარცხა უიმბლდონის ჩემპიონი ბ. ბორგი. ამჯერად ანგარიში იყო 2:6, 7:5, 6:0.

● ვარშავა, 17 ოქტომბერი. ჩვენი კონტინენტის ორგზის ჩემპიონმა, რუმინეთის რეგბისტებმა ევროპის პირველობის მატჩში („ა" ჯგუფი) მოუგეს პოლონელ სპორტსმენებს — 38:8.

● ევპატორია, 17 ოქტომბერი. აქ გაიმართა პროფკავშირულ-კომკავშირული საკავშირო საშემოდგომო კროსის ფინალი. შეჯიბრებაში გამოდიოდა 200 სპორტსმენი. 3000 მეტრზე რბენაში ტოლი არ ჰყავდა სსრ კავშირის ჩემპიონს, უკრაინელ სპორტსმენ ქალს რ. კატიუკოვას — 9.16,0. ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 8000 მეტრზე. აქ ყველას აჯობა ლიტველმა სტაიერმა ა. ანტიპოვასმა — 22.16,2. გუნდური პირველობა რსფსრ-ს სპორტსმენებმა მოიპოვეს.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ

საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ კარგადაა ცნობილი გამოჩენილი მთამსვლელის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის, ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის მიხეილ ხერგიანის სახელი.

24-28 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაცია რიწის ტბის მიდამოებში ატარებენ მიხეილ ხერგიანის მემორიალს კლდეზე სპორტულ ცოცვაში.

გარდა საქართველოს გუნდებისა, ამ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, კრასნოიარსკის, ერევნის, დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ხარკოვის და სხვა ქალაქების უძლიერესი კლდეზე მცოცავები.

...ინტერნაციონალიზმი... იქცა ყველა ერისა და ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღრმა რწმენისა და ქცევის ნორმად.

ლ. ი. ბრეჟნევი

მრავალეროვან, ძმურ ოჯახში

თბილისის რომელ დიდ საწარმოშიც არ უნდა მიბრძანდეთ, ყველგან დაგხვდებათ ინტერნაციონალური კოლექტივი, რომლის წარმატებას ხელიხელჩაკიდებულნი ერთად სჭედენ ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

ეს არც არავის უკვირს. თვითონ თბილისიც ხომ სსრ კავშირში ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანი ქალაქია, სადაც ყველა ძმურად ცხოვრობს, ამ ქალაქის კარგი უხარია, მისი სიკეთისთვის ზრუნავს და ცუდი აღონებს.

მაგრამ საქართველოს დედაქალაქის მრავალეროვან საწარმოებს შორისაც არიან რეკორდსმენები. ერთი მათგანია თბილისის ე. პატონის სახელობის ელექტროშედუღების მოწყობილობათა ქარხანა.

ამ კოლექტივთან ჩვენი ნაცნობობა კომკავშირის საქარხნო კომიტეტის მდივნის დ. მიქიაშვილის კაბინეტიდან დაიწყო. მის ოთახში ჭაბუკები დაგვხვდნენ. ქარხნის ზოგიერთი ახალგაზრდა წევრისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადას მოუწევია. ისინი მდივანთან გამოსამშვიდობებლად მოსულიყვნენ. მიქიაშვილიც თბილ სიტყვებს არ იშურებდა, არიგებდა:

— აბა, თქვენ იცით თუ ჩვენს კოლექტივს არ შეარცხვენთ, დაგვიბრუნდით, ჩვენი ქარხნის კარი თქვენისთანა ბიჭებისთვის მუდამ ღიაა!

საუბარი ძველი ნაცნობებივით ავაწყეთ.

— ჩვენს ათასკაციან საწარმოში თორმეტი ეროვნების ადამიანი შრომობს, რა თქმა უნდა, ძირითად ბირთვს ქართველები შეადგენენ, მაგრამ მათ მუდამ მხარში უდგანან რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, გვყავს უკრაინელები, ბელორუსები, ოსები, ბერძნები, ასირიელები, ებრაელები და ასე გასინჯეთ, უნგრელიც კი.

ქარხნის წარმატებებზე საწარმოს დირექტორმა ი. მეიშვილმა მოგვითხრო.

განსაკუთრებით სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად უმუშავიათ კარგად, მერე ეს ტემპი არ შეუნელებიათ.

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულ ამ კოლექტივის თითქმის ყველა წევრს შრომის ტემპი გაუორკეცებია, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის დადგენილებამ კი მათ კიდევ უფრო მეტი ენერგია შთაბერა და ელექტროშედუღების მოწყობილობათა მწარმოებლებმა 9 თვის დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს: პროდუქციის წარმოების გეგმა შარშანდელთან შედარებით 7,3 პროცენტით გაზარდეს, ხოლო შრომისნაყოფიერება 7,2 პროცენტით ამაღლდა. გადაჭარბებით შესრულდა საქონლის რეალიზაციის გეგმა — ზეგეგმით 93 ათასი მანეთის საქონელი გაუსაღებიათ.

— ამ წარმატებას სწორედ ჩვენი საწარმოს მრავალეროვან კოლექტივს უნდა ვუმადლოდეთ, ამ საქმეში ყველას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს და გვჯერა, რომ ისინი კვლავაც ასე ხელიხელჩაკიდებულნი იშრომებენ. ამის გარანტიას იძლევა ჩვენი მშრომელების პირობა, მიცემული საქარხნო მიტინგზე, როცა ვიხილავდით რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობის შესახებ, — გვითხრეს საწარმოში.

დავინტერესდით, როგორია ამ წარმატებაში ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის წვლილი?

საგეგმო განყოფილებაში სასწრაფოდ დოკუმენტები მოიშველიეს.

— საპარატო საამქროს ამწყობი ზეინკალი, მეორეთანრიგოსანი კალათბურთელი, კომკავშირელი დათო ბოლქვაძე საწარმოო გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. უკანასკნელი თვის გეგმა 110,2 პროცენტით გაანაღდა;

— საიარაღო საამქროს ამწყობმა ზეინკალმა, პირველთანრიგოსანმა მაგიდის ჩოგბურთელმა სერგო შახმურადიანმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას 12,6 პროცენტით გადაამეტა;

— საიარაღო საამქროს მტოხავი ვლადიმერ ანანიევი გეგმებს მუდამ 105–107 პროცენტით ასრულებს. იგი მეორეთანრიგოსანი ტყვიის მსროლელია;

— უკრაინელ ვიტალი მატუჩენკოს ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვს. საექსპლოატაციო საამქროში ასეთი მარჯვე ამწყობი ზეინკალი არ გვყავს. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება უკვე 120,6 პროცენტით გაანაღდა, თანაც ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანია...

ასე დაგვიხასიათეს აქ მუშა აზერბაიჯანელი გალიმ მუსტაფაევი, მძლეოსანი, საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი, ოსი სერგო ტუაევი, მოთხილამურე ელექტრო-მექანიკური საამქროს მუშა, ბერძენი ფედია კადაევი, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ინჟინერი, პირველთანრიგოსანი მოთხილამურე, ებრაელი ეფიმ გირშინი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

— მოწინავე სპორტსმენები შრომაშიც მკლავმოუღლელნი არიან, ხშირად სხვებს პირად მაგალითს აძლევენ, გუნდების მომზადებაშიც მეხმარებიან. სწორედ მათ გარჯას, საზოგადოებრივ მწვრთნელობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ფიზკულტურასა და სპორტშიც ჩვენი კოლექტივის კვალობაზე თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს — კიროვის სახელობის რაიონის ჩემპიონატებში წლეულს მშდ კომპლექსის მრავალჭიდსა და სპორტის ცალკეულ სახეობებში რამდენიმე გუნდური საპრიზო ადგილი მივიღეთ. თავი არც ელსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ტურისტთა შეჯიბრებაში შეგვირცხვენია, არც „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ღ.ონისძიებებში. — გვიყვება ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ვ. ჯამბაზაშვილი.

მართლაც, ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულთა ენთუზიაზმის შედეგიცაა, რომ აქ 600 კაცზე მეტია სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრი, საკუთარი ძალებით მოაწყვეს ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედანი, ოთხბილიკიანი 100 მეტრზე სარბენი, დირექტორის ინიციატივით განზრახულია მოაწყონ ხელბურთისა და ფეხბურთის (შემცირებული ზომის) მოედნები, სატყორცნი და სახტომი სექტორები, გასახდელები და საშხაპე.

ბაზები ნამდვილად აკლდათ. კოლექტივის 12 საამქროსა და განყოფილების გუნდებს მიდასაკოლექტივო პირველობებისთვის არსებული მოედანი არ ყოფნით, ტურნირები კი ხშირად იმართება. მარტო მშდ კომპლექსში მრავალჭიდელთა შეჯიბრებაში 270 ფიზკულტურელი გამოდიოდა, ყველას საიარაღო საამქროს ნიშნოსნებმა აჯობეს. ამ საამქრომ წელს იმარჯვა, აგრეთვე, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. ფეხბურთში ყველას აჯობა საგენერატორო საამქრომ, ჭადრაკში — ქარხნის აპარატის კოლექტივმა...

ჯერჯერობით შეფების ბაზებს იყენებენ. ქარხანა 153-ე საშუალო სკოლას სპორტდარბაზის აგებაში დაეხმარა და ახლა ამ ნაგებობით სარგებლობენ. ამ მხრივ ვერც ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტს დაემდურებიან.

თბილისის ელექტროშედუღების მოწყობილობათა ქარხნის კოლექტივი, რომლის ნაწარმი მსოფლიოს 36 ქვეყანაში იგზავნება, ახლა საშვიდნოემბრო ვახტზე დგას. საწარმოს, რომლის ყველა საამქრო ინტერნაციონალურია, განზრახული აქვს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა ვადამდე გაანაღდოს.

ო. ივდოშვილი.

სურათებზე: სატოხავ ჩარხთან ვ. ანანიევი (მარცხნივ) და ს. შახმურადიანი; საზოგადოებრივი მწვრთნელი, ინსტრუმენტული ბიუროს ინჟინერი, პირველთანრიგოსანი კალათბურთელი ა. მეტრეველი (ბურთით) მორიგ მეცადინეობას ატარებს ახალგაზრდა მუშებთან (მარცხნიდან მარჯვნივ) ს. მარაბიანთან, ბ. ლაკოევთან, ე. დარჩიევთან, თ. არშაკულოვთან და ბ. ბერიძესთან; რაციონალიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ბიუროს უფროსი, პირველთანრიგოსანი ფრენბურთელი ს. ბერიძე მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ამზადებს ლ. ანანიევას.

ავტორის ფოტოები.

„განთიადის“ სპარტაკიადა

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება?

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მთავარ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა X ტრადიციული სპარტაკიადის საბოლოო შედეგები. ასპარეზობათა ცხრილს თვალს თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ამ კომპლექსური ღონისძიებისთვის ყველაზე კარგად მომზადებულან საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის (თავმჯდომარე ნ. ლაკია), სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი ვ. კერესელიძე), სპორტკლუბ „უშბას“ და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის (თავმჯდომარე ა. კეთილაძე) კოლექტივები, რომლებმაც ათივე სახეობის ჯამში ამ თანმიმდევრობით I, II და III ადგილები მოიპოვეს.

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ნაკრები გუნდების წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. ამ კავშირის სპორტსმენებმა ოთხი გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, ამდენივე მეორე ადგილი მოიგეს და თითოჯერ მესამე და მეოთხე ადგილებზე გავიდნენ, მათ საბოლოო ჯამში 133 ქულა დაუგროვდათ, რაც 5 ქულით მეტია „უშბის“ ნადავლზე.

„უშბის“ ნაკრებს ამ სპარტაკიადაში ორი პირველი ადგილი ხვდა წილად,

მე და თითოჯერ IV და V ადგილებით დაკმაყოფილდა.

მეტალურგებს გუნდური გამარჯვება მარტო თავისუფალ ჭიდაობაში ხვდათ წილად, სპარტაკიადაში კი სულ 95 ქულის მოგროვება შეძლეს.

მაგრამ ასეთ ქებას როდი იმსახურებენ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის (თავმჯდომარე უ. გოგელიძე), ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი კავშირის (გ. გელაშვილი) და მშენებლობისა და საშენ მასალათა კავშირის (გ. ცხოვრებაშვილი) რესპუბლიკური კომიტეტები.

მართალია, მშენებლებმა მოიგეს კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი, ხოლო ხელბურთელმა ქალებმა III ადგილი დაიკავეს, მაგრამ ფრენბურთელ ქალთა ტურნირს, ცურვასა და მძლეოსნობას თავი აარიდეს, რის გამო ათ კოლექტივში მშენებლები 55 ქულით VIII ადგილს ვერ ასცდნენ, არადა, მშენებლებს მეტის გაკეთება შეეძლოთ, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტს, მისადმი დაქვემდებარებული პროფკავშირული ორგანიზაციები კოლექტივებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისთვის რომ ზრუნავდნენ.

უფრო ცუდი შედეგები ჰქონდათ ქვანახშირის მომპოვებლებს. იმის გამო, რომ ქვანახშირის მრეწველობის კავ-

კოლექტივების, ფრენბურთელი ქალების, მოცურავეების თავმოყრა ვერ შეძლეს, ხოლო სხვა სახეობებშიც თავი ვერაფრით გამოიჩინეს, კომპლექსურ ჩათვლაში ბოლოსწინა ადგილს დასჯერდნენ — 23,5 ქულა.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა სპარტაკიადაში ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა კავშირის მონაწილეობა. ამ კავშირმა გუნდები მარტო ორ სახეობაში გამოძებნა. თავისუფალ ჭიდაობაში მეცხრე ადგილი დაიკავა, ქართულში — მეათე. ეს იყო და ეს. ამიტომაც 5 ქულითა და ბოლო ადგილით დაკმაყოფილდა. სამწუხაროდ, ეს არ იყო შემთხვევითი ჩავარდნა. მარცხი იმის ბრალია, რომ ამ კავშირის მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისთვის წლობით არავინ ზრუნავს.

ვფიქრობთ, საქართველოს პროფსაბჭო იმსჯელებს ჩამორჩენილი ორგანიზაციების შესახებ და სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს, ხოლო „განთიადის“ ცენტრალური საბჭო მეტ დახმარებასა და კონტროლს გაუწევს ქვანახშირის, ხე-ტყისა და მშენებლების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობას, ზარმაც, უქნარა ფიზკულტურულ მუშაკებს შრომისმოყვარე, გამრჯე სპეციალისტებით შეცვლის.

„ლოკომოტივი“ — მეოთხედფინალში

რეგბიში საკავშირო თასის გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა — ტურნირში უმაღლესი ლიგის გუნდებიც ჩაებნენ. თბილისის „ლოკომოტივს“ მერვედფინალში შეხვედრა ჰქონდა ლვოვში ადგილობრივ „სტროიტელთან“. ეს გუნდი საკავშირო ასპარეზობის პირველ ლიგაში გამოდის. უკრაინის წლევანდელ ჩემპიონატში მან III ადგილი დაიკავა. მშენებელთა კოლექტივი საკმაოდ ძლიერი გუნდია, რაც რკინიგზელებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს.

ქარიანი და ცივი ამინდის მიუხედავად თამაში საკმაოდ სწრაფი ტემპით დაიწყო. მასპინძლები შეტევებით თბილისელ სპორტსმენებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. სტუმართა გუნდში აშკარად იგრძნობოდა არყოფნა ლიპარტელიანისა, რომელიც კოლექტივში საგრძნობი ძალაა.

მეშვიდე წუთზე „სტროიტელმა“ ანგარიში გახსნა, მერე ზუსტად გამოიყენა რეალიზაცია, ხოლო რამდენიმე წუთის მერე ლვოველებმა ასევე ზუსტად დაარტყეს ჯარიმა და დაწინაურდნენ — 9:0.

შესვენებამდე ჯვარიძემ ერთხელ შეძლო მეტოქის „ქალაქის“ აღება.

მეორე ტაიმში ისევ ლვოველები უტევდნენ და ახალ წარმატებას მიაღწიეს, როცა თბილისელთა ჩათვლის მოედანი აიღეს. მაგრამ ეს იყო და ეს. იმის მიუხედავად, რომ თოვა დაიწყო, რკინიგზელებმა ტემპს საგრძნობლად უმატეს. ჯერ ვაშაკიძემ, შ. ხარშილაძემ და ანთაძემ ლვოველთა ჩათვლის მოედნის აღებით, ხოლო მერე გიორგაძემ რეალიზაციის ორჯერ ზუსტად დარტყმით გუნდს გამარჯვება მოუპოვეს — 20:13.

ამრიგად, „ლოკომოტივი“ მეოთხედფინალში გავიდა. იგი კვირას ნახევარფინალში მოსკოვში ითამაშებს „სლავასთან“, რომელმაც მერვედფინალში ხარკოვის გუნდს სძლია — 82:0.

ს. რამინიშვილი,
„ლოკომოტივის“ გუნდის უფ-

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეათე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

პირველი ტირაჟი: 1, 5, 7, 9, 19.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

ჩემპიონატის ქრონიკა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ 3:2. ლიდერის წინააღმდეგ კიეველებმა მთელი მონდომებით ითამაშეს და ტაიმი მოიგეს დიდი უპირატესობით — 3:0 (კონკოვი, ბურიაკი, ონიშჩენკო). შესვენების შემდეგ ტორპედოელებმა სრული გარდატეხა შეიტანეს თამაშში, ორი საპასუხო გოლიც გაიტანეს (ხრაბროსტინი, იურინი), მაგრამ მეტი ვეღარ შეძლეს.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ 2:1. აქ დაწინაურდნენ სტუმრები (მარკინი), მაგრამ იაკუბიკმა 11-მეტრიანით გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

„არარატი“ — „ჩერნომორეცი“ 2:0. ოდესელთა კარში ბურთები გაიტანეს ხალაიჯიანმა და ბონდარენკომ.

„ზარია“ — „დნეპრი“ 2:1. ვ. მალის მიერ გატანილ ორ გოლს სტუმრებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს (გოლიკოვი).

„შახტიორი“ — „კარპატი“ 0:0.

„ლოკომოტივი“ — ცსკა 1:0. მატჩის ბედი გადაწყვიტა ეშტრეკოვის მიერ არმიელთა კარში გატანილმა ბურთმა.

„კრილია სოვეტოვი“ — „სპარტაკი“ 1:0. ვოლგელი შელენკოვის მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი გამოდგა ამ მატჩში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“	11	7	2	2	18—7	16
„კარპატი“	11	5	3	3	17—13	13
„დინამო“ მ.	11	6	1	4	11—8	13
ცსკა	11	5	2	4	19—13	12
„დინამო“ თბ.	10	4	4	2	11—7	12
„სპარტაკი“	11	4	3	4	13—12	11
„ლოკომოტივი“	11	5	1	5	11—11	11
„ზენიტი“	11	4	3	4	14—15	11
„დინამო“ კ.	11	3	5	3	12—13	11
„კრ. სოვეტოვი“	11	4	3	4	10—12	11
„არარატი“	11	3	4	4	12—14	10
„ჩერნომორეცი“	11	5	0	6	10—17	10
„დნეპრი“	11	4	1	6	10—14	9
„შახტიორი“	10	2	4	4	6—6	8
„დინამო“ მნ.	11	2	4	5	8—12	8
„ზარია“	11	3	2	6	7—15	8

თამაშობენ ჩვენი მეტოქეები

ბუდაპეშტი. თბილისის „დინამოს“ მეტოქემ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, ბუდაპეშტის მტკ-მ უნგრეთის ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში თავის მინდორზე ანგარიშით 3:0 დაამარცხა დიერის „რაბა-ეტო“.

დონეცკის „შახტიორის“ მოწინააღმდეგემ უეფა-ს თასის გათამაშებაში, ბუდაპეშტის „ჰონვედმა“ თავის მინდორზე მოუგო „ვაშაშს“ — 2:1.

ათენი. ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კიევის დინამოელთა მეტოქემ, სალონიკის პაოკ-მა საბერძნეთის ჩემპიონატში დაამარცხა „პანათინაიკოსი“ — 2:0.

• •

შესარჩევი მატჩები

გაიმართა ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩები.

I ჯგუფი

ლისაბონი. პორტუგალიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ორმა უპასუხო გოლმა, რომლებიც პოლონელმა ლატომ გაიტანა მასპინძელთა კარში. მატჩი შედგა პორტუში.

II ჯგუფი

ლუქსემბურგი. იტალიელმა ფეხბურთელებმა აქ მოუგეს ლუქსემბურგის ნაკრებს — 4:1. ორი ბურთი გაიტანა ბერეტამ, თითო — გრაციანიმ და ანტონიონიმ. მასპინძელთა ერთადერთი საპასუხო გოლი ეკუთვნის ბრაუნს.

* * *

მეხიკო. მექსიკელმა ფეხბურთელებმა პუებლაში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები. გოლები გაიტანეს სოლისმა, დამიანმა და დავილმა.

• •

მეგობრობენ ფეხბურთელები

მეგობრული სპორტული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან დამყარებული ზნაურის რაიონის სოფ. ავნევის დ. გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობისა და თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის ფეხბურთელებს. უკვე რამდენიმე წელია ეს ორი კოლექტივი ერთმანეთთან ამხანაგურ შეხვედრებს მართავს თბილისსა და ავნევში.

წლეულს სპორტულმა მეტოქეებმა უკვე ითამაშეს თბილისში, „სინათლის“ სტადიონზე და ფრედ დაამთავრეს მატჩი — 5:5. ამას წინათ ავნევს ეწვივნენ თბილისელები და საინტერესო ასპარეზობაში შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 3:2. ეს იყო მათი რიგით მეექვსე ამხანაგური შეხვედრა.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ქართველ მოჭიდავეთა დიდი გამარჯვება

სსრ კავშირის თასის მფლობელი საქართველოს და მოსკოვის „კლასიკოს“ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების უკანასკნელ საფინალო შეხვედრას უნდა დაესახელებინა.

— რსფსრ-ს უძლიერეს მოჭიდავეებთან ქართველ სპორტსმენთა ბრწყინვალე გამარჯვებამ დამარწმუნა, რომ საკავშირო თასისთვის ბრძოლის გზაზე საქართველოს ნაკრებს წინ ვერავინ აღუდგება, — გვითხრა საქართველოს და მოსკოვის გუნდების მატჩის წინ კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის სახელმწიფო მწვრთნელმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ოლეინიკმა.

ბრძოლა დაიწყო. ხალიჩაზე გამოვიდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვ. ბლაგიძე და ვ. ნეცვეტაევი. მოსკოველ სპორტსმენს ულიანოვსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ბლაგიძესთან დამარცხებისთვის რევანშის აღება სწყუროდა, მაგრამ ქართველმა ოსტატმა ამჯერადაც მედგრად შეუტია მეტოქეს: 2 წუთსა და 43 წამში ფარ-ხმალი დააყრევინა. სპორტის ოსტატი დ. ბაქრაძე ქულებით დამარცხდა მოსკოველ ათლეტთან, ასევე სპორტის ოსტატ ნ. ხაიზრამანოვთან, მაგრამ ეს წარმატება მოსკოველთათვის უფროსთა შეხვედრებში პირველი და უკანასკნელი გამოდგა. ქართველმა ვეტერანმა, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჯ. მეგრელიშვილმა კლასიკური ჭიდაობის ღრმა ცოდნა გამოავლინა, 20 ქულა აართვა მოსკოველ სპორტის ოსტატ ვ. დავიდოვს და აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. სპორტის ოსტატმა ა. აფრიამაშვილმა ქულებით დაამარცხა მოსკოველი სპორტის ოსტატი ა. პავლოვი. ვირტუოზულად ჭიდაობდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. ბერიშვილი, რომელმაც სპეციალისტები და მაყურებლები მოხიბლა ბრწყინვალე ტექნიკით. იოსებმა წმინდად დაამარცხა ძლიერი მეტოქე, სპორტის ოსტატი ს. შევერიევი. პრინციპული შეხვედრა ჰქონდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ მ. სალაძეს ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვ. ნეჩაევთან, სალაძემ იგი წმინდად დაამარცხა 4 წუთსა და 40 წამში. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. მაისურაძემ ასევე წმინდად მოუგო სპორტის ოსტატ ვ. შალიმოვს. უფროსთა შეჯიბრება ქართველმა სპორტსმენებმა მოიგეს — 32:8.

თანატოლები დამაჯერებელი ანგარიშით (32:8) დაამარცხეს ქართველმა იუნიორებმა ვ. ბაგაევმა, თ. ხატიაშვილმა, ა. მაცაბერიძემ, ე. მაჩაიძემ, რ. აბრამიშვილმა, ზ. კუბუსიძემ, მ. ლეჟავამ და კ. ნინიძემ წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს.

კომპლექსურ ჩათვლაში დიდი ანგარიშით (64:11) გაიმარჯვეს საქართველოს მოჭიდავეებმა და ტურნირში დაუმარცხებლად დაიკავეს I ადგილი. II ადგილზე გავიდა რსფსრ-ს ნაკრები, რომელმაც შეჯიბრების დასკვნით დღეს სძლია ბელორუსიის გუნდს — 40:12. III ადგილი მოსკოველ სპორტსმენებს ხვდათ.

ასპარეზობის დასასრულს საქართველოს ნაკრებს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სსრ კავშირის ბროლის თასი. ჩვენი კოლექტივის წევრები ე. მარუაშვილი, ვ. ბლაგიძე, დ. ბაქრაძე, ჯ. მეგრელიშვილი, ა. აფრიამაშვილი, ი. ბერიშვილი, ი. წიკლაური, ე. გოგლიჩიძე, მ. სალაძე, ა. მაისურაძე, შ. მორჩილაძე, ვ. ბაგაევი, თ. ხატიაშვილი, ა. მაცაბერიძე, რ. აბრამიშვილი, ი. ჭუღელი, ზ. კუბუსიძე, მ. ლეჟავა, კ. ნინიძე, ი. დოლიძე, დ. უიფიანი, აგრეთვე, მოზრდილთა და იუნიორთა გუნდების უფროსი მწვრთნელები დ. დავითაია და ი. ჩხარტიშვილი საკავშირო სპორტკომიტეტის დიპლომებით დაჯილდოვდნენ. ტურნირის მონაწილეთათვის დაწესებული იყო საქართველოს სსრ ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციების პრიზები. საქართველოს სპორტსმენთაგან ჯილდოები დაიმსახურეს შ. მორჩილაძემ, ი. ბერიშვილმა, ჯ. მეგრელიშვილმა და ვ. ბაგაევმა.

შეჯიბრების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისთვის ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის დიპლომით დაჯილდოვდა თბილისის სპორტის სასახლის დირექცია.

ქართველ მოჭიდავეთა გამარჯვებას ტაშით შეეგება თბილისის ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე მინსკისა და თბილისის დინამოელთა მატჩის სანახავად მოსული მრავალი ათასი მაყურებელი. საქართველოს ნაკრების წევრებმა ბროლის თასით სტადიონზე საპატიო წრე შემოიარეს.

ი. იუნაევი.



სურათებზე: სსრ კავშირის თასის მფლობელი — საქართველოს კლასიკოს მოჭიდავეთა ნაკრები; ვ. ბაგაევი, რომელმაც გამარჯვებისკენ სწრაფისთვის დაწესებული პრიზი მოიპოვა, ამარცხებს მეტოქეს.
ავტორის ფოტოები.

დებიუტანტის ძნელი გზა

რეჩიანი, 18 ოქტომბერი. პრაღის მახლობლად მდებარე ამ ქალაქში გაიმართა ევროპის პირველობის „ბ“ ჯგუფის გუნდების მატჩი. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები საბჭოთა კოლექტივს მასპინძლობდა. ეს შეხვედრა სსრ კავშირის რეგბისტებისთვის პირველი იყო ამ დონეზე.

თამაში ძლიერ წვიმაში მიმდინარეობდა. სტუმრებს გოლის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მათი დარტყმები უზუსტო იყო. მასპინძლებმა ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მოიპოვეს — 9:6. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებიდან გუნდს ქულები შესძინეს კ. ბერკამ (ორჯერ) და ი. შევჩიკმა, სტუმრებიდან — თ. მგელაძემ და მ. გრაჟდანმა.

— საბჭოთა რეგბისტები ღირსეული მეტოქენი გამოდგნენ — განაცხადა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელმა ე. კრიუცნერმა, — ისინი შეუპოვრად, ენერგიულად თამაშობდნენ და დიდი ნებისყოფაც გამოიჩინეს, მაგრამ, თუ შეხვედრა ვერ მოიგეს, ამაში ალბათ, წვიმა იყო დამნაშავე. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოგებით კმაყოფილი ვართ. ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის პირველობის შემდგომ შეხვედრებში საბჭოთა სპორტსმენები გაცილებით მეტი წარმატებით იასპარეზებენ.

სსრ კავშირის ნაკრებს მომავალი მატჩი შვეციის გუნდთან აქვს. შეხვედრა 30 ოქტომბერს თბილისში ჩატარდება.

დაიწყო მესამე წრე

ქალაქ ვარესეში (იტალია) გრძელდება სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირი. მეორე წრის ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლ. პორტიში (უნგრეთი) და ტ. პეტროსიანი. პარტია ყაიმით დამთავრდა.

მესამე წრის პირველ პარტიაში პეტროსიანი და მ. ტალი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, პეტროსიანს 3 ქულა აქვს 5-დან, პორტიშს — 2 — 4-დან, ტალს — 2 — 5-დან.

კვლავ ყაიმები...

მინსკში, სსრ კავშირის ვაჟთა 44-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირში კიდევ ოთხი (VII, VIII, IX, X) ტური გათამაშდა და პარტიების უმრავლესობა ყაიმით დამთავრდა.

VII ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ პერესიპკინი (კიევი) — რაშკოვსკი (კურგანი), ალბურტი (ოდესა) — დვორეცკი (მოსკოვი), კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — გრიგორიანი (მოსკოვი), ბელიავსკი (ლვოვი) — კოჩიევი, ტაიმანოვი (ორივე — ლენინგრადი) — კუპრეიჩიკი (მინსკი). სვეშნიკოვმა (ჩელიაბინსკი) მოუგო კარასიოვს (ლენინგრადი), დორფმანმა (ლვოვი) — პეტროსიანს (ერევანი), ცეშკოვსკიმ (ომსკი) — ფურმანს (ლენინგრადი), ჩეხოვმა (მოსკოვი) — ივანოვს (ფერგანა).

VIII ტურში ყაიმით დამთავრდა შვიდი შეხვედრა: გრიგორიანი — სვეშნიკოვი, რაშკოვსკი — ცეშკოვსკი, დვორეცკი — პერესიპკინი, კოჩიევი — დორფმანი, ჩეხოვი—კუზმინი, ფურმანი — ივანოვი, ტაიმანოვი — ბელიავსკი. კუპრეიჩიკმა სძლია კარასიოვს. გადაიდო პეტროსიან—ალბურტის შეხვედრა.

IX ტურში დაზავდა მხოლოდ ხუთი წყვილი: დორფმანი — ტაიმანოვი, კოჩიევი — ალბურტი, კარასიოვი — გრიგორიანი, ფურმანი — კუზმინი და დვორეცკი — ცეშკოვსკი.

პეტროსიანმა მოუგო პერესიპკინს, რაშკოვსკიმ — ივანოვს, კუპრეიჩიკმა — ბელიავსკის, ჩეხოვმა — სვეშნიკოვს.

X ტურში დაზავდნენ კოჩიევი — პერესიპკინი, ალბურტი — ტაიმანოვი, კუპრეიჩიკი — გრიგორიანი და რაშკოვსკი — კუზმინი. სხვა პარტიები გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ი. დორფმანი — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ე. სვეშნიკოვი — 6 (1), კ. გრიგორიანი, მ. ტაიმანოვი — 6-6, ა. კოჩიევი, ვ. კუპრეიჩიკი, ნ. რაშკოვსკი — 5,5-5,5, მ. დვორეცკი, ვ. ცეშკოვსკი — 5-5 1-1).

გაიმარჯვა პიხაილიჩმა

სუბოტიცაში (იუგოსლავია) დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა პიხაილიჩმა (იუგოსლავია) — 10 ქულა, II-III ადგილები გაიყვეს ვერეციმ და ივანკამ (ორივე — უნგრეთი) — 9-9. შემდეგ მოდიან ტ. შტადლერი (იუგოსლავია), ბაუმშტარკი (რუმინეთი) — 8,5-8,5, კრიმანი (იუგოსლავია) — 7,5, გეორგიევა (ბულგარეთი) — 7, ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), პერევოზნიკი (რუმინეთი) — 6,5-6,5, მიოლსკა — 5,5, ჩეიჩი, პროკოპოვიჩი — 4-4, ვ. შტადლერი — 3, კესეგი (ყველა — იუგოსლავია) —1.



„ასე ნანატრი გამარჯვება“

ასე უწოდა თავის წიგნს სპორტულმა ჟურნალისტმა გ. აკოფოვმა, რომელიც მიუძღვნა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივის საბჭოთა კავშირის თასისთვის ბრძოლის ორმოცწლიან რთულ და სახელოვან გზას.

წიგნში საინტერესოდ არის გადმოცემული თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით ჩატარებული თასის ბოლო აკორდები — ყველა ფინალური მატჩი.

პირველი ფინალური მატჩის (1936 წელი, მოსკოვის „ლოკომოტივთან“) პერიპეტიებზე გვესაუბრება ცნობილი მეკარე ალექსანდრე დოროხოვი, მეორე ფინალური ბრძოლის მსვლელობას აღწერს (1937 წელი, მოსკოვის „დინამოსთან“) სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე, მესამე ფინალურ მატჩს (1946 წელი, მოსკოვის „სპარტაკთან“) იხსენებს სპორტის დამსახურებული ოსტატი ავთანდილ ღოღობერიძე, მეოთხე ფინალური მატჩის ამბებს (1960 წელი, მოსკოვის „ტორპედოსთან“) გვაცნობს ყოველკვირეულ „ფუტბოლში“ დაბეჭდილი ა. ვიტის სტატია და სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი ჩოხელი, ხოლო მეხუთე ფინალზე გვესაუბრება (1970 წელი, მოსკოვის „დინამოსთან“) სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა.

მეექვსე, გამარჯვებით დასრულებულ ფინალზე, გვიამბობს თბილისის „დინამოს “ კაპიტანი ვახტანგ ჭელიძე.

წიგნში არის, აგრეთვე, თავები: „ტრადიციის დაბადება“, რომელიც გვაცნობს საბჭოთა კავშირის საფეხბურთო თასის დაწესებისა და თვით სპორტული ჯილდოს — ბროლის თასის დამზადების მოკლე ისტორიას, „კაპიტნები თავიანთი გუნდების შესახებ“, „ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე“, „მილოცვები, მილოცვები“, „თასის გათამაშება ციფრებში“.

წიგნს დართული აქვს ცხრილები, თასისთვის ბრძოლაში მონაწილე ფეხბურთელთა სიები და მეექვსე ფინალური მატჩის ამსახველი რამდენიმე ფოტო.

ლ. თანდაშვილი.

თენგიზ გიორბელიძე

საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრები გუნდის წევრთა რიცხვს მოულოდნელად გამოაკლდა ახალგაზრდა ნიჭიერი ჭაბუკი, სპორტის ოსტატი თენგიზ გიორბელიძე. დაღუპვის დღეს, დილიდან იგი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქართველოს პროფსაბჭოს ახალგაზრდული გუნდების სპარტაკიადის პროგრამით ასპარეზობდა. გუნდურ ჩათვლაში „სპარტაკის“ გამარჯვებაში მან ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა, ხოლო პირად ჩათვლაში II საპრიზო ადგილი მოიპოვა.

მას ჯერ 18 წელიც არ შესრულებოდა. ერთ ხანს თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში მუშაობდა და სწავლობდა მუშა ახალგაზრდობის 31-ე სკოლაში, რომელიც წლეულს დაამთავრა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ჩააბარა.

მშვილდოსნობაში ვარჯიში სამიოდე წლის წინათ დაიწყო, პირველ დიდ წარმატებას კი შარშან მიაღწია—საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი გახდა. შემდეგ „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში ისახელა თავი. წლეულს თ. გიორბელიძემ „სპარტაკის“ მშვილდოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში ჭაბუკთა შორის აბსოლუტური რეკორდსმენის სახელი მოიპოვა, შემდეგ კი შუა აზიის რესპუბლიკების ღია ჩემპიონატის პრიზიორი გახდა.

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდებმა გიორბელიძის სახით ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენი დაკარგეს.

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო.

მეგობრული არმიების სპარტაკიადა

ჰავანა (პრენსა ლატინა, საქდესი). მეგობრული არმიების IV საზაფხულო სპარტაკიადა მოეწყობა მომავალი წლის სექტემბერს კუბაში.

სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ვიეტნამის სოციალისტური, კორეის სახალხო-დემოკრატიული, იემენის სახალხო-დემოკრატიული, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკების, სომალისა და კუბის 1500 სპორტსმენი.

სპარტაკიადას ესტუმრებიან ამერიკის, ევროპის, აზიისა და აფრიკის წარმომადგენლები.

სპარტაკიადის პროგრამაშია შეჯიბრებები მძლეოსნობაში, სამხედრო სამჭიდში, კალათბურთში, კრივში, მოტოკროსში, საპარაშუტო სპორტში, სროლაში, ხელბურთში, ველოსპორტში, წყალბურთში, ფრენბურთსა და ძიუდოში.

შეჯიბრებები გაიმართება ქვეყნის რამდენიმე პროვინციაში — სანტიაგო-დე-კუბაში, კამაგუეიში, ვილია-კლარაში, სენფუეგოსში, მატანსასში, პინარდელრიოში, აგრეთვე, ჰავანაში.

„ტყავის ბურთი“ — ეს უკვე ტრადიციაა

ახლა ეს ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და პოპულარული ტურნირია. ამ შეჯიბრებებმა სტარტი 1964 წელს აიღო. გაზეთმა „პიონერსკაია პრავდამ“ დაბეჭდა მიმართვა 12-13 წლის ბავშვებისადმი თხოვნით — შეექმნათ ფეხბურთის გუნდები საცხოვრებელი ადგილების მიხედვით და ჩაეტარებინათ შეჯიბრებები მათ შორის, ანგარიში კი რედაქციაში გაეგზავნათ. უამრავი წერილი მოვიდა რედაქციაში. შემოდგომისთვის გამარჯვებულებს გაუგზავნეს მაისურები, ბურთები, მეკარის ხელთათმანები. ასე იშვა პირველი საკავშირო პიონერული შეჯიბრება — „ტყავის ბურთი“. მისმა ორგანიზატორებმა, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, გაზეთმა „პიონერსკაია პრავდამ“ და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ მეორე წელს აგვისტოში ჩაატარეს ტურნირი მოსკოვში. მაშინ ჩემპიონი გახდა ბელორუსიის გუნდი „ჩაიკა“.

„ტყავის ბურთის“ კლუბის ცენტრალური შტაბის მთავარ ამოცანად იქცა ბავშვების მასობრივად მიზიდვა ფეხბურთში. ყოველწლიურად იზრდებოდა შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი. მალე ცენტრალური შტაბი იძულებული გახდა ტურნირი ჩაეტარებინა ორ ასაკობრივ ჯგუფად, ხოლო რსფსრ-ს გუნდებისთვის მოეწყო ზონალური შეჯიბრებები, რომლებშიც გამარჯვებულები საკავშირო ფინალურ ტურნირებში იასპარეზებდნენ.

ჩვენი კლუბის არსებობის მანძილზე ბავშვებმა არა მარტო ისწავლეს „კარგი ფეხბურთი“, არამედ სახალხო მეურნეობისთვის დიდი მუშაობა გასწიეს. ესაა 10 ათასობით დარგული ხე და ბუჩქი, ათასი ტონობით შეგროვილი ჯართი, მაკულატურა, ტონობით სამკურნალო ბალახი, ათასობით ახალი და გარემონტებული მარტივი ტიპის სპორტული მოედანი და ფეხბურთის მინდორი, შრომისა და ომის ინვალიდების დახმარება და სხვა მრავალი. ასეთ შრომატევად საქმეს აკეთებენ კლუბის საზოგადოებრივი შტაბები, რომლებიც შექმნილია კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით.

ამ შტაბებს, ჩვეულებრივ, სათავეში უდგანან სპორტის დამსახურებული ოსტატები, ისეთები, როგორიცაა ბ. პაიჭაძე საქართველოში, ა. აკიმოვი მოსკოვის ოლქში.

უნდა ითქვას, რომ კლუბის საქმიანობაში არის ნაკლოვანებებიც. ერთ-ერთი მათგანია გუნდების არასწორი დაკომპლექტება. ეს ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების უყურადღებო შერჩევის შედეგია. იმაზე, თუ ვის ხელში მოხვდება ახალგაზრდა, დამოკიდებულია მისი შემდგომი ბედი, მისი აღზრდა. ჩვენი მთავარი ამოცანაა — გავზარდოთ იგი ჯანმრთელი, ძლიერი, პატიოსანი და შრომისმოყვარე.

მ. სუშკოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, კლუბ „ტყავის ბურთის“ თავმჯდომარე.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მოკლედ

შოტლანდიელმა ბ. ბრემნერმა, რომელსაც ბრიტანეთისა და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ ფიგურად თვლიან, გადაწყვიტა აღარ ითამაშოს „ლიდს იუნაიტედში“. ეს კლუბი რამდენიმე წლის წინ ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი იყო, ახლა კი კრიზისს განიცდის. მწვრთნელი ჯ. არმფილდი ვეტერანებს ახალგაზრდებით ცვლის, წავიდნენ კუპერი, ჯაილსი, ბეიტსი და იორატი, II ლიგის „ჰალ სიტში“ გადადის ბრემნერიც.

ბრემნერმა თავისი კარიერა „ლიდს იუნაიტედში“ მარჯვენა გარემარბის ადგილზე დაიწყო, მაგრამ შემდგომში მწვრთნელმა დ. რივიმ იგი მინდვრის შუაგულში გადაიყვანა, სადაც ბრემნერს ბრიტანეთში ბადალი არ ჰყავდა. ამ ფეხბურთელმა „ლიდს იუნაიტედის“ შემადგენლობაში 770 მატჩი ჩაატარა და 116 გოლი გაიტანა. ორჯერ (1969 და 1974 წწ.) იყო ინგლისის ჩემპიონი, ერთხელ (1972 წელს) ქვეყნის თასისა, ერთხელ (1968 წელს) ლიგის თასის მფლობელი, სამჯერ — უეფა-ს თასის მფლობელი (1968, 1971, 1972 წწ.). ბრემნერმა 54-ჯერ ითამაშა შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობაში.

ომისშემდგომ პერიოდში ბრიტანეთის ყველაზე ცნობილ გუნდად „მანჩესტერ იუნაიტედი“ ითვლებოდა, მაგრამ შარშანწინ მანჩესტერელთა ხანგრძლივი კრიზისი კატასტროფით დასრულდა — ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა კლუბმა დატოვა I ლიგა. II ლიგაში მანჩესტერლებმა მხოლოდ ერთი წელი დაჰყვეს, შარშან დაბრუნდნენ I ლიგაში და კვლავ საუკეთესო გუნდის სახელი მოიხვეჭეს — გავიდნენ ინგლისის თასის ფინალში და მხოლოდ ბოლო ტურებში დათმეს ჩემპიონატის ლიდერობა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ წლეულსაც საუკეთესოდ თამაშობს — იგი უკვე ლიდერია.

ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე გუნდის მწვრთნელს ტ. დოჰერტის ჰკითხეს გუნდის პერსპექტივების შესახებ. აი, რა უპასუხა დოჰერტიმ: „გუნდში უადვილესი სამუშაო მე მაქვს. იგი ადვილიცაა და სასიამოვნოც — ჩემი ფეხბურთელები სულ უკეთ და უკეთ თამაშობენ და გუნდი გულშემატკივართა კერპი გახდა“.

შარშან მანჩესტერელთა თამაშზე საშუალოდ 6 ათასი მაყურებელი მოდიოდა, ახლა კი ყოველ მატჩზე სტადიონი სავსეა. კომენტატორები აღნიშნავენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ქვეყნის ჩემპიონობის ყველაზე რეალური პრეტენდენტია.

ისინი ამგვარად „მეგობრობენ“

ორ ამერიკელ ბადროს მტყორცნელს, მსოფლიო რეკორდსმენს და ოლიმპიურ ჩემპიონს მაკ უილკინსსა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ჯონ პაუელს თავისებური „მეგობრული“ დამოკიდებულება აკავშირებთ. ერთხელ პრეს-კონფერენციაზე უილკინსმა თქვა: „მე არ მეწყინება რომელიმე ტურნირში ბოლოსწინა ადგილიც დავიკავო, თუ ბოლო იქნება პაუელი“.

(საქდესის კორ.).

რიაზანი. ფ. პოლეტაევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მოტოკროსი.

საქდესის ფოტო.

ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ამერიკელმა მოციგურავემ შილა იანგმა ბრწყინვალედ იასპარეზა იტალიაში გამართულ მსოფლიო პირველობაში ველოსპორტში. მან სპრინტში ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა.

სურათზე: შილა იანგი (მარცხნივ) და სიუ ნოვარო (II ადგილი) საპატიო წრის შემოვლისას.

საქდესის ფოტო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.